საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 სექტემბერი, 2022 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/04

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 და 28-ე მუხლების და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-14 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის მიზნით კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 13 ოქტომბერს.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103), 2022 წლის 03 ოქტომბრიდან 2022 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე.

3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

დ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე

სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება) - გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) სამოქმედო გეგმა;

თ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ბხსუ-ში დაკავებული აკადემიური (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) თანამდებობის შესახებ.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**